

სათაური: მითები ქალებისა და მამაკაცების შესახებ და მათი შედეგები

მოკლე აღწერა/მიმოხილვა

გენდერული სტერეოტიპები ფესვგადგმულია კულტურაში. ტრადიციული კულტურების მნიშვნელოვანი ნაწილი სავსეა ქალებისა და მამაკაცების შესახებ იმ წარმოდგენებით, რომლებიც წარმოშობენ და ამკვიდრებენ გენდერულ სტერეოტიპებს, წინასწარწმენებსა და დისკრიმინაციას.

მოცემული აქტიობა CESI- ის სახელმძღვანელოს - „სქესი და გენდერი - გამადიდებელი შუშის ქვეშ“ (“Sex and Gender under Magnifying Glass”, Hodžić, A., Bijelić, N., & Cesar, S. (2003)). შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც შეეხება იდენტობას, სექსუალობას და სოციალიზაციის პროცესს.

თემა: გენდერული სტერეოტიპები, წინასწარწმენები და დისკრიმინაცია.

დრო: 60 წთ

ჯგუფის ზომა: 12-20 მონაწილე

მიზნები

იმ გზების გაანალიზება, რომლითაც კულტურა გადასცემს გზავნილებს და გამოხატავს შეხედულებებს ქალებისა და მამაკაცების შესახებ. მონაწილეებს ეცოდინებათ იმ გზავნილების შესახებ, რომელსაც მოიცავს ტრადიციული მითები და ასევე ის, თუ რა გავლენას ახდენენ ეს გზავნილები ქცევაზე.

საჭირო მასალები:

- ფლიფჩარტი
- მარკერები
- A4 ზომის ფურცლები
- კალმისტრები

ნაბიჯ-ნაბიჯ

1. სთხოვეთ თითოეულ მონაწილეს ფურცელზე გააკეთოს ჩამონათვალი იმ ლექსების, ისტორიების, ანდაზების, გამონათქვამების, თამაშების და რითმების, რომლებიც ახსოვთ ბავშვობიდან და რომლებიც გენდერულ როლებთან არიან დაკავშირებული.

2. მონაწილეები დაყავით პატარა ჯგუფებად და უთხარით, რომ მათი ამოცანაა: იმსჯელონ ამ ჩამონათვლებზე და იმ ზეგავლენაზე, რაც ამ გზავნილებმა მოახდინეს მათ გოგონად და ბიჭად ჩამოყალიბებაზე.

3. თხოვეთ ჯგუფს შეარჩიონ ყველაზე ნათელი მაგალითი და მამოზადონ პრეზენტაცია მთელ ჯგუფის წინაშე - გააკეთონ მცირე ინსცენირება.

4. თითოეული ჯგუფი წარმოადგენს თავის ნამუშევარს. ამ დროს კომენტარების გაკეთება აკრძალულია, მაგრამ ფასილიტატორს შეუძლია ფლიფჩარტზე ჩამოწეროს წარმოდგენილი ისტორიებისა და ლექსების მოკლე აღწერილობა.

5. სთხოვეთ დიდი ჯგუფის მონაწილეებს გააკეთონ ბრენშტორმინგი პრეზენტაციის მნიშვნელობის შესახებ. ჩამოწერეთ ეს მოსაზრებები მეორე ფლიფჩარტზე (იმ ფლიფჩარტის გვერდით, რომელზედაც ჩამოწერილია ისტორიების/ლექსების აღწერილობა).

6. იმსჯელეთ იმ აზრების შესახებ, რომელიც გამოითქმება. შესაძლო კითხვები ამ პროცესისათვის:

- რა ისწავლეთ იმის შესახებ, თუ როგორია ბიჭად ან გოგოდ ყოფნა?
- სად ისწავლეთ ეს?
- რა შედეგები აქვს ამას თქვენი ცხოვრებისათვის დღეს?

განხილვა და შეფასება

ყოველ კულტურას გააჩნია თავისი მითები. ჩვეულებრივ მითებს არ ანალიზებენ. ამიტომ მონაწილეთა გაოცება შეიძლება გამოიწვიოს იმის გაგებამ, თუ რა დაფარული მნიშვნელობები, ძალა და უხალავი ზეგავლენა გააჩნიათ მითებს.

მნიშველოვანია ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რომ ბიჭები, ისევე როგორც გოგონები იმყოფებიან სხვადასხვაგვარი წნეხების ქვეშ, რათა შეესატყვისებოდნენ თავიანთ გენდერულ როლთან დაკავშირებულ მოლოდინებს. იმ გზავნილებს, რომლებიც ჩვენ მივიღეთ და შევითვისეთ ბავშობაში დიდი ზეგავლენა აქვთ ჩვენს ცხოვრებაზე მოზრდილობაში.

რჩევები ფასილიტატორს

მოცემული აქტიობა ტარდება შერეულ ჯგუფში. ეს ქმნის სივრცეს სხვადასხვა გენდერული როლების შესახებ მსჯელობისათვის - თუ როგორ იქმებიან ისინი და როგორ მკვიდრდებიან. მითების ანალიზი შეიძლება დაგვეხმაროს იმის დადგენაში, თუ რა როლი აქვს სოციალიზაციის პროცესს გენდერული როლების ჩამოყალიბებაში და იმის გაგებაში, თუ რამდენად ღრმად არიან ეს როლები ფესვგადგმული კულტურაში.